



არალეგალური შრომა თურქეთში - როგორ დავიცვათ ჩვენი უფლებები



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



მიგრანტი

ჩანართს გამოსცემს
ახალგაზრდა მეცნიერთა
კავშირი „ინტელექტი“.

№19 / 2017

ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: სალომე აბულაძე

მისამართი: ბათუმი, ფიროსმანის № 18
ტელ.: 24 16 40; ფაქსი: 24 16 50

მობ: 592 57 18 00

ელფოსტა: info@intellect.ge

ვებგვერდი: intellect.ge

ნლის ოთხივე სეზონზე სარფის საბა-
ყო გამშვებ პუნქტზე მთელი დღე რიგე-
ბია. ვინ მოხუცის მომვლელად მიდის, ვინ
ბავშვის, ვინ ოჯახისა და მეურნეობის მი-
სახედად. მიგრაციის დონე განსაკუთრე-
ბით ზაფხულში იზრდება, როცა ქართვე-
ლები თურქეთში ჩაისა და თხლის საკრე-
ფად მიდიან.

თურქეთში სამუშაოდ წასულ არალეგალ
ქართველებს, საჭიროების შემთხვევაში,
იურიდიულ დახმარებას ადვოკატი ისმაილ
ჰათიფოღლუ (პაიჭაძე) სთავაზობს. ად-
ვოკატის თქმით, „თუ უცხოეთში მუშაობის
დროს საქართველოს მოქალაქის უფლებე-
ბი დაირღვა, მან სამოქალაქო სასამართ-
ლოს უნდა მიმართოს; პირადი შეურაცხ-
ყოფის ან სისხლის სამართლის საქმესთან
დაკავშირებით კი პროკურატურას, ან პირ-
დაპირ პოლიციას. თურქეთში არალეგალუ-
რად მომუშავე მიგრანტებმა არ იციან, რო-
გორ დაიცვან თავიანთი უფლებები, ამიტომ
ხშირად დამსაქმებელი არალეგალს შეპი-
რებულ თანხას არ უხდის; მეტიც, თანხის
მოთხოვნის შემთხვევაში სამართალდამცავ
ორგანოებში დასმენით ემუქრება. მოქალა-

ქეს საჩივარი იმიტომ არ შეაქვს სასამართ-
ლოში, რომ ჰგონია არალეგალური მუშაო-
ბის გამო მას კანონი არ დაიცავს და არც
ზარალი აუნაზღაურდება.

თურქეთის კანონმდებლობით, თუ არა-
ლეგალურად დასაქმებული ჯარიმდება 800
ლირით, დამსაქმებელი ჯარიმდება 8 000
ლირით თითოეულ დასაქმებულზე. შესაბა-
მისად, თურქეთის რესპუბლიკაში ქართვე-
ლი არალეგალების დაშინების ძირითა-
დი ბერკეტი - სამართალდამცავი ორგა-
ნოებისთვის შეტყობინება, არსებითად უს-
აფუძვლოა.“

ისმაილ ჰათიფოღლუ არალეგალებს
მოუწოდებს, გააფორმონ ხელშეკრულება
დამსაქმებელთან:

„მნიშვნელოვანია დამსაქმებელთან წე-
რილობით მარტივი სახის შრომითი ხელ-
შეკრულების გაფორმება, რომელიც უნდა
შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: დამსაქმე-
ბლისა და დასაქმებულის სახელს, გვარს,
პირად ნომერს, მისამართს, დასაქმების ად-
გილს, შესასრულებელ სამუშაოს, მოცუ-
ლობას, ანაზღაურებას, დამატებით პირო-
ბებსა და მხარეთა ხელმოწერას. დამსა-

ქმებელს, რომელიც თავს არიდებს მსგავსი ხელშეკრულების დადებას, დიდი ალბათობით განზრახული აქვს ანაზღაურების არ ან არასრულად გადახდა. შეიძლება დაიდოს როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება. მიგრანტთა ჯგუფის შემთხვევაში, სასურველია გაფორმდეს ხელშეკრულება ჯგუფის წევრებსა და ჯგუფის ხელმძღვანელს შორის, რომელიც, თავის მხრივ, გააფორმებს ხელშეკრულებას დამსაქმებელთან.

პირს, რომელიც არალეგალურად შრომობს თურქეთის ტერიტორიაზე, მისთვის ანაზღაურების არ ან არასრულად გაცემის შემთხვევაში, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს. არალეგალური შრომა მიეკუთვნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, სასამართლო საქმეს განიხილავს მხოლოდ დავის საგნის ჩრილში და არ ატყობინებს დავის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს. ის მხოლოდ ფაქტს უყურებს. ამ დავების მოგების შანსი დიდია და, შესაბამისად, ბევრი შემთხვევა არსებობს.

არალეგალური მიგრაციის დროს თუ მოქალაქე პოლიციამ დააკავა, დეპორტი მიეცემა, ხოლო ვიზის ვადაგადაცილების დროს, მოქალაქე ჯარიმდება 500-დან 2000-მდე თურქული ლირით, რაც საქართველოში გადმოსვლისას, თურქეთის საზღვარზე უნდა გადაიხადოს. თანხის გადახდის შემთხვევაში პირი ხუთწლიანი დეპორტიდან თავისუფლდება.

თურქეთში მყოფი ქართველი არალეგალების უმრავლესობამ არ იცის, რომ ე.წ. „დეპორტის“ მოხსნა შესაძლებელია. ისმაილ ჰათიფოღლუ ამბობს, რომ მსგავსი პრობლემის გამო არც თუ ხშირად აკითხავენ მას. „ამ კუთხით მოქალაქეებს უფრო დოკუმენტების შეგროვებაში ვეხმარებით და კონსულს ვაბარებთ, რადგან ვიზის გადაცილებაზე გარანტიას წინასწარ ვერ ვიძლევი, პასუხი ხან დადებითია, ხან უარყოფითი. თუ დეპორტი არალეგალურად მუშაობის გამო აქვს მიღებული, მაშინ იმ რაიონის სასამართლოს მივმართავთ, სადაც დეპორტირდა და საკითხიც არალეგალის სასარგებლოდ წყდება. დეპორტი შეიძლება გასაჩივრდეს. თურქეთის რესპუბლიკიდან დეპორტირების შესახებ საჩივარი განიხილება ინდივიდუალურად. სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ მოქალაქეს უფლება აქვს კანონიერად გადავიდეს თურქეთის საზღვარზე“.



მძიმე ტექნიკის ოპერატორის სპეციალობის წარმატებული კურსი

ეკოლოგიურმა და შრომითმა მიგრანტებმა, რომლებიც კოლეჯ „ახალ ტალღაში“ მძიმე ტექნიკის ოპერატორის სპეციალობას ეუფლებოდნენ, გამოცდა წარმატებით ჩააბარეს. ტესტირების შემდეგ სტუდენტებმა თეორიული ცოდნა სიმულატორებთან გამოსცადეს.

38 წლის ნუგზარ ვერულიძე უკვე მძიმე ტექნიკის ოპერატორია. „ინტელექტში“ მოვლამდე ის შრომითი მიგრანტი იყო, ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გამო სამუშაოდ უცხოეთში დადიოდა: „38 წლის ვარ და უცხოეთში მუშაობით დავიღალე. მომწონს მძიმე ტექნიკის ოპერატორის პროფესია და „ინტელექტის“ წყალობით ამ მიმართულებით უფასო გადაზიდვების კურსები გავიარე. მძიმე ტექნიკასთან შეხება ჯერ არ მქონია, მაგრამ სიმულატორებზე მეცადინეობით ვისწავლე როგორ ვმართო. ვიმედოვნებ, მალე დავსაქმდები.“

შრომითი მიგრანტი პაატა მოწყობილიც მეზობელ სახელმწიფოში მუშაობდა. მოგვიანებით მიხვდა, რომ ეს გამოსავალი არ იყო, ამიტომ ქვეყანაში დაბრუნებულმა სწავლა გადაწყვიტა: „მიღებული ცოდნით კმაყოფილი ვარ. გამოცდაც წარმატებით ჩავაბარე. ვფიქრობ, დასაქმების შანსი მალე მომეცემა“.

„ინტელექტის“ პროექტში ჩართვით კმაყოფილია შრომითი მიგრანტი ვაიათაბაძეც: „თურქეთში თხილისა და

ჩაის საკრეფად დავდიოდი. ახლა კვალიფიკაცია ავიმადლე პროექტის ფარგლებში და მძიმე ტექნიკის პროფესიონალი ოპერატორი ვარ.“

მძიმე ტექნიკაზე ადრეც უმუშავია შრომითი მიგრანტი ომარ ხინიკაძეს, მაგრამ კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩაერთო პროექტში. „გამოცდით კმაყოფილი ვარ, გამოვიდა. ტექნიკასთან ნაწილობრივ შეხება მაქვს, რაც დასაქმების მეტ შანსს მაძლევს.“ – ამბობს ომარი.

მიგრანტი სტუდენტების სწავლით კმაყოფილია კოლეჯ „ახალი ტალღის“ პედაგოგი ამირან გოგიტიძე: „მეცადინეობებზე თითქმის 100 %-იანი დასწრება მქონდა, დღეში ოთხი საათი პრაქტიკული მეცადინეობა იყო და სამი – თეორიული. სტუდენტების დასაქმებაში პედაგოგებიც აქტიურად ვართ ჩართულები“.

„სტუდენტების მონდომებამ შედეგი გამოიღო, გამოცდა წარმატებით ჩააბარეს. ახლა მათი მიზანი დასაქმებაა,“ – ასე შეაფასა კურსდამთავრებულები „ახალი ტალღის“ სასწავლო პროცესის მენეჯერმა ეთერ ანანიძემ.

მძიმე ტექნიკის ოპერატორის კურსი ეკოლოგიურმა და შრომითმა ცხრა მიგრანტმა გაიარა. ისინი პარალელურად საერთაშორისო ნორმების შესაბამისი „S“ კატეგორიის მძღოლის პროფესიული მომზადების სასწავლო კურსს გადიოდნენ და მართვის მოწმობებიც („S“ კატეგორია) მიიღეს.